ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო
ს/კ – 405337764
მის: თბილისი , ალ ყაზბეგის გამზ . N2, 0160

+995 577 07 05 77
democracyindexgeorgia@gmail.com
@DemocracyIndex

N03-287-2022 28 ივნ 2022

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი
ბატონ დავით სონღულაშვილს

ასლი: კომიტეტის წევრებს.

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-9 პუნქტის და 107-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს“ მოსაზრებას საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/125/10).

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე

თავმჯდომარე

„დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“

მოსაზრება საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/125/10)

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში განიხილება მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლითაც ცვლილება შედის სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში (შემდგომში კოდექსი). ინიციატივის მიხედვით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოეყოფა სივრცითი დაგეგმის დეპარტამენტი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სააგენტოს სახით გადავა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში. კანონპროექტი ითვალისწინებს სააგენტოსთვის გარკვეული ფასიანი მომსახურებების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას.

<u>წარმოდგენილი ინიციატივა იწვევს ბიუროკრატიის დაუსაბუთებელ ზრდას, შეიცავს არაკონსტიტუციურ დებულებებს და მის შედგენაში კონსტიტუციის დარღვევით არ ყოფილან ჩართულები მუნიციპალიტეტები.</u>

- **საქართველოს მთავრობა აგრძელებს მანკიერ, არაკონსტიტუციურ პრაქტიკას, რომლითაც მუნიციპალიტეტებთან ჩართულობის გარეშე წყდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები**

მთავრობას, ინიციატივის შემუშავებისას, არ აქვს გავლილი კონსულტაციები არც ერთ მუნიციპალიტეტთან.[1]

საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციით. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს სივრცითი დაგეგმარების საკითხი.

ვინაიდან სივრცითი განაშენიანების გეგმის შემუშავების საკითხი, მუნიციპალიტეტების ნაწილში, მათი საკუთარი უფლებამოსილებაა, ხოლო ინიცირებული კანონპროექტით მუნიციპალიტეტებს უწევთ ამ საკითხზე უშუალო კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებთან, აუცილებელია კანონპროექტზე მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციის გავლა და მათი პოზიციის დაფიქსირება, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებაში ჩარევის ნაწილში.

---

[1]განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, (07-2/125/10) პუნქტი „დ“

- **კანონპროექტი იწვევს ბიუროკრატიის დაუსაბუთებელ ზრდას;**

ინიციატორთა განცხადებული მიზანია გაძლიერდეს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა, რომლის ფუნქციაა სივრცით გეგმარებითი საქმიანობა. დღეს არსებულ დეპარტამენტში, რომლიც ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემადგენლობაშია, დასაქმებულია 12 მოხელე, რომელთაგან 3 მენეჯერული თანამდებობის, ხოლო 9 სპეციალისტია (მათ შორის 4 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).[2]

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, სსიპ-ის, რომელიც იქნება დეპარტამენტის უფლებამონაცვლე, საშტატო ნუსხა იზრდება 33 დასაქმებულამდე. აქედან თუ მხედველობაში არ მივიღებთ მენეჯერული თანამდებობის პირებს (სააგენტოს, დეპარტამენტების უფროსებს, მათ მოადგილეებსა და კონსულტანტებს), აგრეთვე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლებს (ფინანსისტს, შესყიდვების სპეციალისტს, IT სპეციალისტს და სხვ), საბოლოოდ მივიღებთ 13 სპეციალისტს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნება უშუალოდ სსიპ-ის ფუნქციის განხორციელებაზე.[3]

მოქმედი დეპარტამენტში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება წლიურად შეადგენს 317 280 ლარს. ხოლო სსიპ-ის შემთხვევაში კი აღნიშნული ოდენობა გაიზრდება 1,279,440 ლარამდე.[4]

თითქმის მილიონი ლარით სახელფასო ფონდის ზრდა იმ ფონზე, როდესაც მხოლოდ 4 (ფუნქციურად თანხვედრი) სპეციალისტი დაემატება უწყებას, ხაზს უსვამს არა რეალურად სივრცითი დაგეგმარების საქმიანობის გაძლიერების მიზანს, არამედ ბიუროკრატიული ხარჯების დაუსაბუთებელ ზრდას და საჯარო ფინანსების არაეფექტიან განკარგვას.

- **ინიციატივა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას;**

წარმოდგენილი ინიციატივით, იქმნება რა სსიპ, ემატება კოდექსს 11[1] მუხლი (სააგენტოს საქმიანობის მიზნები, მისი უფლებამოსილებები, მართვა და სტრუქტურა), რომლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს უფლებამოსილება ენიჭება მიიღოს მომსახურების გაწევისთვის საფასური, რომელიც ჩაირიცხება მის ანგარიშზე. მე-10 პუნქტის მიხედვით კი მთავრობაზე ხდება აღნიშნული მომსახურების გაწევის სახეების, საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდის და საფასურიდან განთავისუფლების წესის განსაზღვრის დელეგირება.

თავისი არსით აღნიშნული საფასური, რომლის განაკვეთების დადგენის უფლებამოსილება მთავრობას ენიჭება, წარმოადგენს მოსაკრებელს, რომელსაც დაინტერესებული პირი გადაუხდის სააგენტოს გარკვეული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

---

[2] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, (07-2/125/10) პუნქტი „ბ.გ)"

[3] იქვე.

[4] იქვე.

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა. აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მთავრობის დადგენილება, რომლითაც იყო „112"-ის მომსახურებისთვის საფასურის განაკვეთები განსაზღვრული. სასამართლომ „112"-ის მომსახურებისთვის დადგენილი საფასური მიიჩნია მოსაკრებლად და განმარტა მოსაკრებლის არსი[5], ასევე, ის, რომ მხოლოდ საქართველოს პარლამენტია უფლებამოსილი საკანონმდებლო აქტით განსაზღვროს მოსაკრებლის განაკვეთები და მისი დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დაუშვებელია, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველ პუნქტს.[6]

იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი უარს იტყვის თვითონ დაადგინოს მომსახურების განაკვეთები და მხარს დაუჭერს ინიციატივას წარმოდგენილი სახით, საკანონმდებლო ორგანო დაარღვევს საქართველოს კონსტიტუციას.

აღნიშნული მოსაზრების ზეპირად წარდგენის მიზნით, რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, გთხოვთ უზრუნველყოთ ორგანიზაციის წარმომადგენლის კომიტეტის სხდომაზე დასწრება.

---

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-27-32.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II – 35-38.